



მათრასი

იუმორისტ. ჟურნალი



ხელის-მოწერა არ მიიღება. მასალები გამოიგზავნება ამ აღრე-
სით: Тифлисть, Типография Шрома, Теофилу Болквадзе

Handwritten signature or mark in blue ink.

1235



საკაპი წიკრეთელი

ს ვ გ ა რ ო ზ ი

აკაკის ლექსებისა.

ჩემო თავო, ველარ გაურნვენ წამალით,
დაღმართ-დაღმართ დაუყვი წა მალით,
იქ ჩაბრძანდი, სად გულიან ლოდებით!
ბართ, ნიჩბით, კუბოთი და ლოდებით!
დაივიწყე, ვინც გახსოვდა მარად ის!
ხელ-დაკრფით განისვენე მარადის!..

„დედა შეილობამ ბევრს არ გთხოვ:
შენს მიწას მიმაბარეო,
ცა-ფირიუზ, ხმელეთ ზურმუხტო
ჩემო სამშობლო მხარეო“.

დავუძღურდი, განჰქრა გიჟი ოცნება.
ნაღვლიანად ჩემს თავზე მეცინება
და ღმერთს ვვედრებ: „ღმერთო მომეცი ნება,
რომ მეღირსოს საფლაფში დაძინება“.

უსამართლო დაცინებამ
ჩვენში ბევრჯერ გამამწარა,
ცხრა მთას იქით რაღათ მინდა,
გინდ მაქონ და გინდა არა!
ვისაც ვთხოვდი შემწეობას,
ჩემთვის წყალიც არ დაღვარა,
რომ მოვეკვდები, რაღათ მინდა,
გინდ მიტრონ გინდა არა!

გინდ მშობლეს, გინდ მწყუროდეს,
დავდიოდე ტიტლიკანა,
არ ვინატრებ შენს ქონებას,
არ მსურს ვიყო შენისთანა!

მისთვის მომცა ღმერთმა ენა,
სიმართლისთვის გავიწირო;
ჩაგრულ მოძმეს მოვეხმარო,
თუნდა ქვითაც დავიკირო.

ვიცი, ცრემლი მამაკაცსა
შეარცხვენს და არ შეშვენის,
მაგრამ მიჯობს ჩუმად ტანჯვას
ცრემლი ვღვარო, არა მრცხვენის!

სანთელი ჩემი ხორცია,
სიციცხლე — მოკლე პატრუქი;
ნათელი — ჭკუა-გონება,
იმათგან გამონაშუქი!..

ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე — მთელი ქვეყანა
და რომ ვიწვოდე, ვდნებოდე
არ შემიძლია მეც განა?

მწერიც კი ცხოვრობს თანხმობით,
ფუტკარი... ჰიანჰველოა!..
და ჩვენ რათ ვმღერით ცალ-ცალკე
ოდელა-დელა-დელაო!
ერთობა ჩვენთვის ტახტია,
მტრებისთვის სახრჩობელოა!
მტერს ვაი დედა ვაძახოთ
და ჩვენ ვსთქვათ: დელა-დელაო!

რაც გინახავს, ველარ ნახავ!
ძველი ღროი წასულია!..
რალას ვარგა, გინდ მზეც იყოს,
თუ დასავლეთს დასულია?..

„ახლა დაგვიდგა სულ სხვა ღრო,
ამაღლებული შრომითო
და სისხლი ოფლად შესცვალე
ვერას გახდები ომითო“.

„ჩვენი ჯავით მონაყვანი
სხვასთან მიდის საზრდო პური;
შინ ცოლ-შვილს შინშილი გვიკლავს,
მაგრამ ვინ მიუგდოს ყური?
მათსა ზაზრდოს სხვა იტაცებს,
სტირის ცოლი მეძუძური,
შიშშილისგან რძე უშრება
წივის შვილი უსუსური“.

ვაჭარო, მაგ შენ აბაზში
სისხლი და ოფლი ჩვენია!
როგორ არა გაქვს ღეთის შიში,
ან კაცის არა გცხვენია ..

სოფლებს ატყავებ უშიშრად
და თამამად ხრავ ქალაქსა...
სისხლ-მეტე ხომ არ გაშფოთებს,
ხომ არ თხოულობ დალაქსა?

გამიქავდის მაშინ ენა,
თუ რომ ვისმეს მიეფევრო,
და გამიხმეს ეს მარჯვენა,
თუ სიმრუდით სიმთ ვაქედრო!..
რა გინდ ბედით ვიყო კრული,
საშინელიც მექნეს ბოლო, —
არ შედრკება ჩემი გული
გინდა ქვითაც ჩავიქოლო!..

ეჰ, ქართველო, აბა მითხარ, ვინა ხარ?
მოწინავეს ჩამორჩი, უკანასკნელ წინა ხარ,
უცხო კაცად არ ვარგხარ, აღარც არა შინა ხარ,
ორთა შუა ადგინხარ, სანაგველას ფინა ხარ!

არავინ მომცა მე საშველათ დაცემულს ხელი
და სიყრმიდანვე შევეზარდე ამა მონებას!
ალარ მამძიმებს ეს მონების მძიმე უღელი...
სული მკვდარია... და არც ველი მე აქ ცხონებას!..
და როს მოვედები, თუ მის შემდეგ ჩემი შვილები
აიცილებენ მამის ხედრსა. უბედურებას,
მაშინ საფლავში შეიძვრიან მსწრაფლ ჩემი ძვლები
და სული ზეცას მაინც იგრძნობს ტკბილ ნეტარებას.

ვინ სეა ბოლომდე ამ სოფლის
სიტკბობებისა ფიალი?
ვის არ უნახავს მის ბედის
წაღმა-უკულმა ტრიალი?

მაღლით წვიმა მოდიოდა,
ნაბადმა ვერ დამფარაო,
დამსველა მან თავიდან
ფეხებამდე მასხარაო!

ხუმართაც ვარგებულხარ
ვაჟ-კაცობით პირველიო,
მაგრამ ვერ იქ თორნიკობას
თუმც მის ადგილს სულ ელიო.

მივაძახე: ჭინქარში ნუ ვარდები!
ნუ გგონია იქ ია და ვარდები.
შეიბრაღე შენი თავი, იცოდე
მაგ შარბათში საწამლავს სვამ, იცოდე!

არა !..აჰყავდეს იმედი
გულს ვერ გამიტებს ქალარა!
გმირებს დაეძებს, უყვივის
ჩემი დაფი და ნალარა.
კრულ იყოს მისი სახელი,
ვინც მთა გასცვალოს ბარზედა,
თვის ტომის დამწუნებელსა
ჭირი მიუვა კარზედა.
გადაგვარების მოსურნე
ბუნებისაგან კრულია,
მისი პირადი ღირსება
ყოველგან დაჩაგრულია.

ჩამოდექით! შორს!.. შორს ჩვენგან!..
ავგილია თქვენზედ ხელი:
შევიტყუეთ, რომ იულა ხართ,
ნამდვილ ისკარიოტელი.
თქვენი მიეთ-მოეთობა
ველარ გასჭრის, თქმა არ უნდა.
წაღმა წახვალთ, თუ უკულმა,

მაინც ვიცით, ხართ იულა;
ის, ვინც გთვლიდათ მოციქულად,
ან აქამდე რად მოსტყუვდა,
თორემ ჩვენ სულ ვამტიკვებით,
რომ იყავით, თქვენ: იულა.
პირში ტკბილი, თავ-კატუნა,
გაიძვერა, მელა-კულა...
აწ კი ყველამ დაინახა,
რომ ყოფილხართ თქვენ იულა.

ჩემისთანა პატრიოტი
განა არას სადმე კიდე?
გარწმუნებთ, რომ ვერ შეხვდებით
გინდ მოლაზხოთ კილით-კიდე...
ლენინოს ბევრს ვსვამ, მიყვარს მწვადი,
არტალა და ჩახოხბილი...
ფლავსაც ხომ სულ ხელითა ვჭამ,
რომ არ მოხედეს ჩანგალს კბილი!
რაც შეჭფერის მამულიშვილს,
ვასრულებ მეც ყველაფერსა,
უკულმართის ხმით ვიმღერი
ქართულ მრავალ-ჟამიერსა.
მე არაფერს არ ვმუშავებ,
მაგრამ სხვებსაც არ ვაძალებ...
რაც რომ მერგო მამა-პაპის,
ნელა-ნელა „ვაპრადლებ“:
და ფულს ვხარჯავ კნიაზურად...
ისე, როგორც ჩალა-ბხესა!..
მამის სული გამიშვია,
ვფიცავ მამინაცვლის მხესა...
ერთი სიტყვით, ქართველობა
გამჯდარი მაქვს სრულად ტანში,
რო მოვწონვართ, თქვენც კი გატყოფთ,
აბა, დამიკარით ტანში!..

„ტრემელში მიღესაგს ნაღველი
და შეღხად ის მისმარა,
შიკ თაფლი ზრის ჩარევი,
ზოგან კი ცხარი ძმარა.
ზოგს ეტკბილება, ზოგს არა,
მაგრამ რა ჩემი ბრადია!
ბუღბუღი ვარდ და კვალზედ
თანასწორ მიმღერადა“.

„მუშუბო, თქვენი მარჯვენა
აკურთხოს ოფლით ნაბანი!
მიწას თქვენი ლოგინი
და ლაქვარდი ცა სხანისი
მიმხუდარი ზრის ეტ თქვენი
შეუბღაღავი გონება“.

რამ ზირტუქსაფით არ შვენის
მშრომელ კაცს სხვისა მოჩება!

„ეს ზანდელ ადვოკატებს,
ამ მსხვერპლ წუწკ კატებს
ვერ აწამებს გერმანი
ვერც ჟვარსა და ვერც ხატებს.
ქათი ქედები გული
და შებღალული სული
მუდამ ამას თხოულობს, —
ფული, ფული და ფული!

„გამოიგვება ქვეყანა,
ჩაჩხი უკუღმა ტრაქტებს:
ვირა კოკობ ვარდს დაჭკალობს,
ბუღბული ვირებრ ჭღრიალებს!
სამთარშა სიტყვ კვაწუხებს,
საფხელში ღებება სამთარო;
სომეხში ხრმალი ხალო,
ქართუკლმა სომხის დაგთარი!
ქურდები სჭრაიან სამხრთაღს,
მართლებს უერაჲ ბორკილსა,
და ქვეყნის მტერი იუდა
დასცინის მამულის-შეილსა.
ბრთევი და უსწავლელები
თავში უღვია ჭკვიანებს...
გაჭკქეს ეს ჟამა ბარკმ-და,
ნეტავი რას იგვიანებს!“

სიკვდილი *)

I

მაშ ეს ყოფილა სიკვდილი... მეტი არაფერი!
თვალეები დახუჭული მაქვს, მაგრამ ვხედავ, გუ-
ლი აღარ მიძვრს — და ვგრძობ კი. გონებაც ისევ
თავისავე რიგზეა. მხოლოდ სხეული დამღუნებია:
ადგომა მინდა — ხელ-ფეხს ველარ ვანძრევ, ხმის ამო-
ლება მსურს ენა არ მემორჩილება. ჰევე, მოდი და
ირიკავე ახლა!..

მადლობა ღმერთს!.. რა გაეწყობა!.. ენახოთ
მაინც, კიდევ რაღა იქნება! — „სიკვდილი წერააო“,
ამბობს ხალხი; „უმიზეზოთ მე არავის ვერჩიო“,
უთქვამს სიკვდილს და მართალიც არის. ჩემი სი-
კვდილის მიზეზი რაღა იყო? ანთება?.. ეს ანთება

*) ამ 15-დღე წლის წინად ჩვენი უბანლო მგოსანი
ავით იყო და ეს მისი მადლიანი, სხარტული ნაწარმოები მა-
შინდელია.

რამღა გამოიწვია? აბა დაუფლოთ ყური, საზოგადო-
ება რას ამბობს! „დაუდევარი კაცი იყო, თავის პა-
ტივი არ იცოდა, თბილათ ვერ იცვამდა. ცივ ოთახ-
ში იდგა, საზაფხულო ტანისამოსით დადიოდაო“ და
სხვანი. ფიე! ვერ უყურებთ?! ბრალს მევე მდებენ.
ახირებული თუ გინდათ, ეს არის, თქვენმა მზემ!
„ვის არ უნდა თქვი მეფეთ და ცოლი დედოფლა-
თაო“?! განა მე კი მძულდა ჩემი თავი, მაგრამ სა-
შვალემა?.. „არა, ეგ ტყუილია, მაგას რა ბევრი
რამ უნდოდაო“?! სარწმუნოთ ვაიძახიან — „ჩვენ-
თვის ეთქვა, ჩვენ მოვუხებრებდით მაგ საშუალება-
საო“! სტყუიან, თქვენმა მზემ! ჩემებრ საწყლებს მე
თვითონ არას გამოვართმედი, და მდიდრებისთვის
რო მიმემართა — გამკიცხავდენ, სირცხვილში ჩამაგ-
დებდენ, და სირცხვილს ისევ სიკვდილი სჯობია!..
და რა აქვთ ნეტავ საბოლიშო? ან ადრე ვინ რას
თხოვდა მაგათ და ან ახლა ვინ რას ესაყვედურება,
რომ პირიქით მკვდარს მამტყუნებენ? ასეა ადამიანის
ბუნება!.. თავისი თუ არ ეხარჯება რა, თავის გა-
მოჩენას არაფერი ურჩევია. კულაბზიკობა ცხოვრე-
ბის ერთი ქახრაკთავანია. ეჰ, რაც იყო იყო!..
ახლა გვიანლაა ყოლიფერი. მადლობა ღმერთს, რომ
ქირისუფლები არ დამესწრენ, თვარა შეიქნებოდა
ერთი ვაიუშველებელი, ტირილ-ყვირილი, მოთქმა,
თავცემა... ყველაფერი, რასაც კი უგულო ჩვეულებ-
ა მოითხოვს, და ის თქვენ სტერს, რაც მე დღე
დამადგებოდა! სულით დავიტანჯებოდი. ახლა კი...
მაგრამ, რომ არც ახლა ვარ მოსვენებით?.. ეს აუა-
რებელი ხალხი რომ შეკრებილა, რაო? ჩემს სიცო,
ცხლემში არ უკითხავართ, ავათამყოფიარ უნახავართ-
და ახლა კი თავს იტყვენ. სიკვდილს შემდეგ სინა-
ნული? სინანული კი არა და ის კიდევ! რა ბძანე-
ბაა!.. ყველას თავ-თავისი საკუთარი გულის საფხანი
რამე აქვს და მკვდარს მიზეზათ მიღებს... მამადლის.
ზოგი მხოლოდ მიტომ მოდის, დარწმუნდეს.
მართლა მოვკვდი, თუ არა? ზოგი ამბობს გუნებაში:
„ცოცხალი ხომ მინახავს, — მოდი, ახლა მკვდარსაც
დავხედავ, როგორიაო! ზოგი რას ფიქრობს და ზო-
გი რას! ზოგიც მარტო ფეხის ხმას აყოლია.. სა-
საზოგადოთ კი ყველა იმ აზრისაა, რომ უკანასკნე-
ლი ვალი უნდა მოვიხადოთო.“

დიდება შენ, ღმერთო! პირველი ვალი როდის
ახსოვდათ, რომ ამ უკანასკნელს აღარ იფიქრებენ?
მაგრამ ჩანს, რომ ეს მეორე უფრო ადვილი და გა-
სართობი ყოფილა!.. ალბათ ამის მიზეზია რომ
ხალხმა თავი მოიყარა და სახლში ტყევა აღარ არის...
საკვირველია, რომ ხმამაღლა ლაპარაკს ვეღარავინ
ბედავს მკვდართან... თითქოს ეშინოდესთ ჩემი!..
უკუღმა სამართალი თუ გინდათ, აბა ეს არის!..

სიცოცხლეში არავინ მერიდებოდა, მიყვიროდენ, უსამართლობით და ცილისწამებით მაყრუებდენ, და ახლა კი მართლის თქმასაც ვეღარ ახერხებენ ხმაში-ღლა... მხოლოდ ჩურჩულობენ! დიახ, ჩურჩულობენ, მაგრამ სული ფხიზელი ყოფილა, ვერაფერს გამოაპარებენ... ყოლიფერი მესმის — „ჰეე! ეს არის ჩვენი სიცოცხლე! მოვიდა — იცხოვრა, მოკვდა — წავიდა და გაქრაო!“ სთქვა ერთმა ქკუის კოლოფმა დიდი შეფერებით, თითქო საკვირველი რამ ეთქვას ახლათ. — „დიიახ! ეგ არის მსოფლიო კანონიო!“ — უპასუხა თავის ქნვეითა და თვალების გაქყეტით მეორემ — და გაჩუმდენ. — „სამწუხაროა ახლანდელი ქართველების მდგომარეობა! აი ახლა ეს: ნიქიერი კაცი იყო, მაგრამ უკულმართათ გაატარა თავისი დღე და სოფელი! ვერც თავის თავს არგო რამე და ვერც ქვეყანას!.. შეეძლო — დაწინაურებულიყო და კაცი გამხდარიყო! ახლა კი თითქოს არც ყოფილი-ყოს ქვეყანაზეო!“ ბძანა ერთმა ბობოლაძემ. „მართალსა ბძანებთ, მაგრამ ეგ საზოგადო, საყოველთაო სენია დღესო,“ მიუგო მეორემ — და გავიდენ მეორე ოთახში. „ღმერთმა აცხონოს, მაგრამ ცუდი ენის პატრონი კი იყო: თვითონ არას გერჩოდა, მაგრამ თუ გამოიწვევდი, ერთს მისთანას გეტყოდა, რომ გულიდან აღარ ამოგცილდებოდა!.. მაგის შიშით ხმა ვეღარ ამოგველო!.. ნამეტანი იყო, ნამეტანი!.. თავხედი, ბრიყვი, უზღელი, შეუბოვარი“. ეჰ, მაღლობა ღმერთს, მოვრჩით... გადავრჩითო!..“ წაილაპარაკა ერთმა. — „რას დაფიქრებულხართო?“ ეკითხება ერთი ვინმე ახალგაზდა გაქალარავებულ პუბლიცისტს. — „ამაზე ვფიქრობდითო“, — აძლევს პასუხს და ათითებს ჩემკენ, — „მაგის ნიქის პატრონს შეეძლო ბევრი ნაყოფი მოეტანა ჩვენი ქვეყნისთვის, და უნაყოფოთ კი ჩაიარა მაგისმა შრომამო! ეგ სულ მისი ბრალია, რომ მე არას მიჯეროდა და თავის ნებაზე დადიოდაო.“

— კაცო, შენ ჩემი სთქვა!.. არ დამიჯერა, არ იქნა, ვერ დავაწყებთ ჩემებუთარ წერა!.. ორმოც წელიწადს წერდა, და ქართული კი მაინც არ იცოდა... ვერ ისწავლა!.. თუ არ გადავასწორეთ მაგის ნაწერები, კაცს არ წაეკითხება!.. რაღაც უცნაური ენაა, იმერულიო!.. ჩაერია მეორე

— მეჰ!.. ღირს კი გასასწორებლათ? ისე არ მოიპოება აზრი მაგის ნაწერებში, როგორც ურისის სახლში მირონი! ცარიელი ღლაბუცობა და ღაზღანდარობააო!.. დაუმატა მესამემ. — „ეგ ხომ ყველა მართალია, მაგრამ მაინც უნდა პატივით დავასაფლაოთ ქვეყნის დასანახავათ!.. მე სიტყვისაც კი ვამზადებო“, განავრძო მეოთხემ.

— მეც! მეც! მეც... გამიგორეს სხვებმაც და გავიდენ.

— რა გშენის ეგ შავი კაბაო! წაულაპარაკა ერთმა ფრანტმა ახალგაზდა ქალს. „იჰ, რა დროსიაო?“ მიუგო სიამოვნებით გაწითლებულმა ქალმა და ცბიერათ შეხედა. — „სიყვარულმა უდროობა არ იცისო!“ — უპასუხა ფრანტმა — და გაჩუმდენ.

ამგვარი რამეები ბევრი მესმის, გულზე ვსკდები, მაგრამ სულს ხომ გული არა აქვს!.. სსსუუ!.. აგერ პატარა ბავშვიც ეკითხება დედას: „დედიკო, ახალ ლექსებს იღალ დაწეოს?“

— არა, შეილო! — უპასუხებს თვალცრემლიანი დედა, — ვეღარ დასწერს.

— ლატომ?..

— რატომ და აქ აღარ იქნება, ფუფალასთან წავიდა.

იქ ლას გააკეთებს?

— იქ... შეეხვეწება ფუფალას, რომ ნიკო გააბედნიერე და კარგი კაცი გამოიყვანეო!.. შენი შეამდგომელი იქნება, შეილო, და შენც ილოცე!.. შეავედრე ღმერთს!.. პირჯვარი გამოისახე!..

აი აგერ ღვდლებიც მოდიან. პანაშვიდი უნდა იხადონ!.. გმაღლობ შენ, უფალო, რომ ეს ერთი ქირისუფალი მაინც გამჩენია აქ!.. ეტყობა, სოფლიდან არის ჩამოსული.

აი შე-მოსენ. . სანთლებს არიგებენ... ინთებენ!.. მიდის ერთი ახალგაზდა ღვდელთან და ეუბნება: „მამაო, მგონი, უცხო ენაზე აპირებთ პანაშვილის გადახდის?“

— დიახ. მაშ როგორ?

— აჰ, ნუ ინებებთ მაგას!

— კი, მაგრამ აქ ბევრი მისთანებიც არიან, რომ ქართული არ იციან.

— მე მგონია, თქვენ მკვდრისათვის იხდით პანაშვილს, და არა ცოცხლებისათვის! — აწყვეტივს სიტყვას.

ამიგეს წესი!.. გათავდა!.. შეიქნა ჩოჩქოლი. დამიპირეს გასვენება!.. მაგრამ წამოდგა ისევ ის ახალგაზდა და ამბობს: „მოითმინეთ, ბატონებო!.. უნდა ეს ლექსი მოისმინოთ, სადაც განსვენებულის უკანასკნელი სურვილია გამოცხადებულიო!“ ამოილო და წაიკითხა:

ანდერძი:

ოთხი ფიცარი კუბოსთვის
უბრალო, შეუმკველათა,
და ოთხი მუშაც წამლები,
რომ გამსვენონ ხელოათ.

არც გვირგვინები, არც სიტყვა,
არცა რა ცერემონია!..
არ მინდა!.. მოლას ანდაზა
მეც ბევრჯელ გამიგონია,

მინდა, რომ ბაღში დამმარხოვნ,
სადაც არ იყოს სხვა მკვდარი!..
ზაფხულში მწვანით შემოსოს
და თოვლს მაყრიდეს ზამთარი!

მზე საფლავს სხივებს მტყორცნიდეს,
დაქათქათებდეს ზედ მთვარე
და ვარსკვლავები ქიკქია,
მიბნედილ მოსხივ-ცისკარე.

დიღ-დიღით გასაღვიძებლათ
შაშვმა მისტეინოს ზევსური,
რომ მის მაღალ ბან-სალამურს
სიკვილიშა დაუგდოს ყური.

სალამოს ვარდის ჩიტუნამ
ჩასკენით ჩამკენესოს „ნანინა“,
იქვე მახლობლათ ბუჩქებზე
მას აერჩიოს რა ბინა!..

და ამდენ ნატურის გვირგვინათ
ერთსაც დაესახე სხვა რამეს,
კავშირსა სიკვიდილ-სიცოცხლის,
ორივე სოფლის სიამეს!

ის მირჩენია ძვირფას ძეგლს,
ყოველგვარ სანახაობას,
რომ იქ უქმე-ლდე ვხედავდე
მოზარდე ქართველ თაობას!

იქ თამაშობდეს, ცელქობდეს
ეხორცებოდეს ქართველ ერს!..
თავისებურათ დამღერდეს
ძველებურ „მრავალ-ჟამიერს!“.

ყველამ ყური დაუგდო. მოისმინეს და სიცილი დაიწყეს. მხოლოდ მეთაურებმა კი სთქვეს: „ახლა გვიანდა არის, მომზადებული ვართ, ხალხი ცერემონიას ელის... უცდის და ხომ ვერ მოვატყუებთო!“ ამას რომ ყური მოეკარი, გამეკინა გუნებაში: არა, მეც თუ სულელი არა ვარ, სიცოცხლეში ვინ ამისრულა სურვილი, რომ სიკვიდის შემდეგ გამიგონონ-მეთქი!.. დამავლეს ხელი და გამიტანეს.

დიდძალ ხალხს მოეყარა თავი; ქუჩები სულ გატენილი იყო, მაგრამ მწუხარება კი ვერავის შევატყვე, — ისევ ქალებს, ბავშვებს და უბრალო დაბალ ხალხს უფრო ეტყობოდათ!.. სხვები კი მოვალეობას იხდიდნენ. — უფრო მეტი სეირის ხალხი იყო!.. მე მგონია, სახარბოელოზე რომ ვინმე წაეყვანათ, მაშინაც ისევ ეს და ამდენივე ხალხი მოგროვდებოდა. — სულ ტაატით მიმასვენებენ. — ეს გვირგვინები რაღა ოხრობაა!?. „წმიდინდააო ღმერთო, წმიდინდააო ძლიერო!“ გალობს მოსწავლეთა გუნდი... ეს კი არა მწყინს!.. მშობლიური რამ მხვდება გულს!.. მაგრამ, მაინც ნეტავ მალე გათავდებოდეს!

დეს!.. უჰ, როგორც იქნა! ძლივს არ მიმასვენეს საფლავში — მადლობა ღმერთს, ახლა კი ჩამდებენ პირლია საფლავში — და მოვრჩები!.. მაგრამ რა ბრძანება?! აქაც ერთი ქირი... უარესიც შემართება: მეხვიან ვარს, გაუკეთებიათ რაღაც მადლობი ადგილი, დგებიან ზედ ვილა-ვილა-ციები და ასაქსაქებენ ენას!.. რას არ ამბობენ, ღმერთო ჩემო!.. „ჩაესვენა მზეო“, „დაბნელდა მთვარეო“, „მოსწყდენ ვარსკვლავებიო“ და სხვანი. ასე გატლევაც იქნება?! მერე, ვინ ამბობს ამ სიტყვებს ასე ურცხვათ? სულ ის ხაიხი, რომელსაც, სანამ ცოცხალი ვიყავი, ჩემი ლანძღვისა და ცილისწამების მეტი არაფერი გაუკეთებია!.. ჰე, ახლა კი მომასწრეს და კულდაბზიკობენ!.. ოჰ, რა შეურაცხოფაა ეს ამათი ფარისევლური სიტყვები და ცბიერი აღერსი!.. ამათ უნდათ, რომ მკვერმეტყველობით თავი გამოიჩინონ და გული იჯერონ. — უჰ, ძლივს არ გაათავეს!.. მადლობა ღმერთს! ახლა კი თავს მანებებენ!.. ძლივს არ გადავრჩი!..

აი, დახურეს კუბოს თავი... აქედენ... აკაკუნებენ... ჩამიშვეს სამარეში... მიწას მაყრიან... ახლა კი მშვილობით, ჩემო სამშობლოვ!.. ვნახოთ, იქ რაღა იქნება.

II

სამარეში სულიც თან ჩამყვა და გამიკვირდა. „ოი! ოიო!“ — შემომძახა ვილაკამ. — „ვინ ხარ, რომ თავზე მაწვეები და ძვლებს მამტერეო?“

— თვითონ შენ ვინა ხარ, რომ მაგრე ოხრავ და კენესი-მეთქი, — დავეკითხე მეც.

— მე? დიდი ხნის მკვდარი!.. აქაური მიწის შვილი ნუ გგონივარ!.. მემისთანებზეა ნათქვამი: „სადაური სად მოკვდება, სად უთხრიან სამარესაო?“

— როგორც ვხედავ, მაგისტანა ანდაზა ერთი მეც მერგო ახლა: „ვერიდებოდი ღოღოოსო, დამხვდა სოფლისა ბოლოსო!“ მე იქ, მაღლა მეზარებოდი, და შენ კი აქ დაბლაც, დამხვდი?

— ვინ მოგიწვია? მე აქ ჩემთვის აგერ ოთხმოცი წელიწადია მარტო-მარტო ვწევარ და არავის შეუწუხებია.

— ჩემი ნებით არც მე მოვსულვარ! რაღა გაეწუბა, უნდა მოვითმინოთ და ავიტანოთ ერთმანეთი; მაგრამ ეს კი უნდა მითხრას: თუ მართლა ამდენი ხნის მკვდარი ხარ, აქამდე გზა ვერ გაიგენი საიქიოსკენ?

— ვიყავი, მაგრამ არ მიმიდეს... დამაბრუნეს. შენ იქ სისხლში გასერილხარ და არაყით გაგბანიაო... გაწმენდა გეჭირებაო! საკანონო დამდგეს და აქვე გამოგზავნეს. ერთი საუკუნე უნდა დავრჩე, და მერე კი უნდა გაუდგე გზას. ოცი წელიწადი

კიდევ მიკლია, მაგრამ ღვთის მადლით დრო მალე გარბის.

— ღმერთმა გისმინოს და გზა მშვიდობისა მოგცეს! მაინც რას აკეთებ ამ ქვეყნათ?

— არაფერს, დღე აქა ვწევარ, და ღამე კი, დღე და ღამის გაყრიდან მამლის ყვილამდი, მალა დაკტანტალობ, როგორც მაგნე და მოჩვენება, ხალხს ვაფრთხობ და ქვეყანას ვაშინებ.

— ვერაფერი ხელობა გქონია. თუ იცი, მე რამდენ ხანს უნდა დავრჩე აქ?

— ორმოც დღეს, რომ ცოლდელ დედამიწას საუკუნოთ გამოეთხოვო; მტერსა და მოყვარეს სათითოოთ უნდა დაუარო, რომ ზოგს შენდობა მისცე და ზოგს შენვე მოსთხოვო. მაშინ გაიწმინდები და აქაური ქუჩი სიჩიოს აღარ მიგყვებაო.

ამ საუბარში ჩვენ კიდევ შემოგვალამდა. დღე და ღამე გაიყარა—და ჩემი მეზობელი ამოძვრა მალა. მეც თან ამოგყვევი, მაგრამ ის თავისთვის წავიდა და მე ჩემთვის.

ყველაზედ უმალ მე ვენი სტამბისკენ გავექანე. მუშები მოწყენით ღამხვდენ: ჩემზე ჩამოგდოთ საუბარი.

— ჰე, ახლა ხომ გეშველა? სულ იმას წუწუნებდი, იმის ხელს ვერ ვარკვევ და ბევრ დროს მკარგვინებსო! მორჩი და მოსიფენო, —უთხრა ერთმა მეორეს.

— შე კაცო, გულის წყრომის დროს რასაც კაცი იტყვის, განა ყველა მართალია? ნეტა ის არ მომკვდარიყო, და მე შრომა ერთი ათათ მომმატებოდაო, —უბასუხა მეორემ.

— მაროალს ამბობ, მე და ჩემმა ღმერთმა! მეც შემხვედრია მისი სტატიის აწყობა, გამკვირებია ამოკითხვა, —მაგიერთ ბოლოს სიამოვნებაც მინახესო, —დამატა მესამემ: ახლა კი ვეღარც მის სტატიას ავაწყობ და ვეღარც სხვასაო.

— რატომო? კითხეს; —რატომ და სტამბიდან გამომავდესო. ისეთი სტატია მოიტანეს განსვენებულზე, რომ მე აწყობა შემეზიზნა და უარი ვსთქვიო. ჯერ ვითომ ქებით იყო დაწყებული, მაგრამ ბოლოს კი ისეთი ლანძღვით თავდებოდა, რომ ქებას აქარწყლებდა და გინებას აორკეცებდაო. გამომავდეს. რა გაეწყობა?! თუ ვიშოვნე სხვაგან ადგილი, ხომ კარგი; თუ არა და შინ გავუდგები გზას, გურიისკენ: ღობი ბევრი მეშოება და ღობიოვო, —სთქვა, ამოიხენეშა და გაჩუმდა. მე მისმა სიტყვებმა შემაწუხა. „ღმერთმა გიშველოს-მეთქი“, გავივლე გუნებაში და გამოვედი გარეთ.

პირდაპირ ერთი რედაქციისაკენ წავედი. რედაქციაში თავი მოყვარა ყველა თანამშრომელს.

ერთი მათგანი რედაქტორის თანაშემწეს ეჩხუბებოდა: მაშ არ დაბეჭდავთ? არა? რა მიზეზია? —

— ის, რომ ურიგობაა ახლა მაგისტანა სტატიების წერა! ისევ თბილია, ჯერ კარგათ არ გაცივებულა, და შენ კი თავზე ქვა და გუნდას აყრი, —ამას არც მტერი მოგიწონებს და არც მოყვარე.

— შენ სიკოცხლეშიც არ ყოფილხარ მაინცადამაინც მისი წინააღმდეგი, და ახლა ხომ სულ... მომეცი ჩემი სტატია, რომ თვითონ რედაქტორს წავაკიოხო.

მომწყინდა მათი ყურის გდება და შევძვერი რედაქტორის ოთახში. რედაქტორი მოწყენილი მარტო-მარტო თავის თავს ესაუბრებოდა: „რამდენი ხანი ვიცნობდი და ჩემს დღეში მისგან პირადი წყენა არ მახსოვს. საზოგადოთ, მართალია, ერთი მიზანი გვქონდა, მაგრამ ის სულ სხვა გზით მიდიოდა და მე სხვით. ჩემი გზა იმას არც ერთხელ არ დაუქოლავს, და მაშ რათ მძულდა? რათ მეჯავრებოდა? მაგრამ ენის მიტან-მოტანა რა საძაგლოა რამ არის! მუშას რომ გადაატანიო რამე ერთი სახლიდან მეორემდი, განა იმას გზაში მტვერი არ ეყრება და არ ჩირქიანდება? ასეთივეა გადატანილი სიტყვა: სულ სხვა ფერათ გადადის და სხვა ხორკათ. გონებამ ეს ყველაფერი იცის, მაგრამ გული კი უსამართლო ენის ამყოლია. ეჰ, ვინ დაიჯერებს, რომ მისმა სიკვდილმა მე ასე გული მატყინია!“

ამ დროს შემოვიდა თანამშრომელი და გადასცა სტატია. რედაქტორმა ჩამოართვა, გადაიკითხა რამდენიმე პწკარი, წარბები შეიკმუნხა, გადასცა უკანვე და წყრომით უთხრა: „ამის დაბეჭდვა არ შეიძლება: შენ რა გესმის, რა დროს რა უნდა. ეს სტატია რომ დაბეჭდილიყო, მე შენ რედაქციაში არ დაგაყენებდი“. კუდამოძუებული თანამშრომელი გამოვიდა გარეთ ბუტბუტით: „მოდო და გაუფე ახლა მაგათ თავი და ბოლო? ხან ასე და ხან ისეო. ჩემ ქირს, თუ არ დაბეჭდავენ! ჩემთვის სულ ერთია, მარჯვნივ ვიქნები, თუ მარცხნივ! — მეორე სტატიაც ხომ მზათა მაქვს ამ სტატიის წინააღმდეგი. იმას მეორე რედაქციაში წავიღებ — და სიხარულით დამიბეჭდვენო“. —სთქვა და გასწია.

დავედევნე მეც. რედაქციაში დიდიან-პატარიანა ყველა დიდი შეწუხებული დაგვიხდა. ჯერ კიდევ თვალზე ცრემლი არ შემრობოდათ. რედაქტორს კრიქა აღარ ეხნებოდა. თამამათ შევიდა დაწუნებული სტატიის ავტორი რედაქციაში და ღიმილით გაუშვირა ხელი რედაქტორს, მაგრამ რედაქტორმა არ ჩამოართვა და უთხრა: „სხვა რომ არა იყოს რა, ორი შენი ხნის მაინცა ვარ, და მაგრე მედიდურათ რომ მიტურტურებ ხელს, როგორ არ იცი, რომ უზღედლობააო?!“

— მე... მე... მე სტატია მოვიტანე მიცვალე-
ბულზეო, — სთქვა ცოტა შერცხვენილმა სტუმარმა.

— ქებაა, თუ გინება? — დაეკითხა რედაქტორი.

— რასაკვირველია ქება!

— მაშ არ შეიძლება დაბეჭდვა, წაიღეთ უკან-
ვე. თქვენისთანა კაცების ქება-დიდება იმას სიკო-
ცხლეშიც შეურაცხყოფათ მიაჩნდა, და ახლა ხომ
სულ საფლავიდან ამოღება იქნებაო. — შერცხვენილი
მწერალი გამოვიდა გარეთ, რეტ-დასხმულივით დადგა
ქუჩაზე და ამოიხვნეშა: „ჰეეე! აღარც იქით და
აღარც აქით! ახია ჩემზე; რას ვერჩოდი განსვენე-
ბულს? ერთი საწყალი ვინმე ვიყავი, მრუდი და
მართალი ყველა თავში მიფაჩუნებდა; იმან პირვე-
ლათ შემნიშნა, თავზე ხელი დამისვა, გზაზე დამა-
ყენა, და მე კი ყველა-ღრენით გადავუხადე! სულ
ლუკმა პურის ბრალია. ღმერთმა დასწყევლოს სილა-
რიბე! არც ერთხელ საკუთარათ ჩემთვის მათრახი
არ გადუქნევია, მაგრამ მისი შორს გატყორცნილი
შოლტი, როგორც მე, ისე ჩემისთანებს ბევრს პირ-
დაპირ ხედებოდა, — აი თუ გინდა ეს, რომელიც
გულიდან აღარ ამომშორდა:

„რას წუწუნობს ის პატარა მურია!

ხომ არ შია და ან ხომ არ სწყურია?

ვისი არის და ან სალაურია?

ქუცი! ქუცი! კულქიცინა მურია!

რომ არ მოდის?... თითქოს უმადურია!

რა ყოფილა, ხედავთ, ბრიყვი მურია?!

კიდევ რო ყფეს!.. რალაც უცნაურია!

თათი! თათი! სალახანა მურია!

მისი ყფა მხოლოდ მარტო შურია...!

გადაუგდებ — გაჩუმდება მურია.

ვინც გააძღებს, მისი შინაურია,

იმას მონებს და კუდს უქნევს მურია.

ან კი რა ქნას? ბუნებით უძლეურია.

ქუცი! ქუცი! საცოდავო მურია.!

ლაქუცაა კულქიცინა მურია,

თუ არ შია და ან არცა სწყურია“.

„აი, ახლა ეს არავის არ შეეხება, მაგრამ
ბევრს კი მისი სარკე გონია, და მეც გულში ისრათ
მესობა. ჩანს, რომ ალბათ მეც მურია ძალღი ვარ.
ვიყო... ვიყო, ოღონდ კი თავი როგორმე გავიტა-
ნო. პატრონი ძალღს ხან გაუჯავრდება, კარში
გაავდებს — და ხან ისევ დაუძახებს და მოეფერება.
ძალღს რა უჭირს, სანამ ყფა კი შეუძლია და კუ-
დის ქიცინი. ეჰ! ჩავალ ისევ ჩემს ძველ რედაქცია-
შიო...“

შემეზიზნა, მაგრამ მაინც შენდობა მივეცი და
გავექანე „პურ-ღვინოსაკენ“, რადგან ვახშობამაც
მოატანა. იქ ნაცნობები ვახშმათ ისხდნენ და მე მი-

ვონებდნენ. ჩემი ნათქვამი გაიმეორეს, იცინოდნენ.
ხარხარობდნენ და ღროს ატარებდნენ. ერთმა მათგან-
მა აავსო ქიქა ღვინით, წაუქცია თავი და სთქვა:
„ღმერთმა საუკუნო განსვენება მისცეს, სამასი მანე-
თი კი გაყვა ჩემი საიქიოს, მაგრამ შენდობილი
იყოსო!“. შევხედე თვალეში ურცხვათ მოტრახებს,
მაგრამ რალას ვეტყოდი. ღმერთმა ხომ იცოდა, თვი-
თონ გამომართვა ერთხელ სამი მანეთი და აღარ
დაუბრუნებია. სხვებმა, ვითომ ჩემ ნათქვამათ, ანე-
გლოტები გაიმეორეს, მაგრამ ყველა ჩემი არ იყო,
ისიც დამახინჯებული, და „ღმერთმა შეგინდოს-მე-
თქი“ — გავივლე გუნებაში გულნატკენმა და თავის
დასამშვიდებლათ წავედი პირდაპირ გულითად მეგობ-
ართან.

შევედი ოთახში თუ არა, ის ვნახე, რაც სი-
კოცხლეში მეჯავრებოდა: ჩემს გულითად მეგობარს
სხვა ვინმე უჯდა გვერდით და ანუგეშებდა: „კარ-
გია, კმარა, არ გშენის მოწყენა: შენ ცოცხლებზე
იფიქრე, და მკვდარი ღმერთს ჩააბარე. წავიდა, მო-
რჩა, — ხომ ვერ დააბრუნებო?“

— შენ კარგათ იცი, ჩემო სიკოცხლეო, რომ
მე ის შენსავით არ მყვარებია: ის მიყვარდა ისე,
როგორც მახლობელი ნათესავი, და შენ კი... უთხრა
აღერსით ქალმა და ჩაუდგა ხელი ხელში. კაცმა
ხელზე კოცნა დაუწყო. მე გული დამწყდა, და სხვა
რომ ველარაფერი მოვხატებ, ფენჯერზე დავაკაუ-
ნე. შეკრთენ, წამოცვიდნენ ზეზე, კაცი მიდგა
ფენჯერთან, და რომ ვერაფერი დაინახა, სთქვა: „ჩი-
ტი უნდა ყოფილიყოსო“; გაბრუნდა და ისევ აღე-
რისი დაუწყო ქალს. მე კიდევ პირიანდელზე უფრო
ძალუმათ მივეხალე და მივეხალე ფენჯერს. მაშინ
კი მართლა დაფეთებული ქალი გულში ჩაეკრა კაცს
და იმანაც გასამხნეველათ ხელეები მოხვია. ესთქვი:
თუ ასე ვაფრთხე ესენი, მე სანუგეშოს ვერას ვნა-
ხავ-მეთქი; მოგსხლტი გულშეწუხებული და ისევ
საფლავში ამოვყავი თავი.

ამ პირველმა დღემ ბეკრი ვერაფერი მასიამო-
ნა. მეორე ღამეს, მესამეს, მეოთხეს... ორმოცი
დღის განმავლობაში სულ დავიარე, რაც ამ ქვეყნათ
ნაცნობები მყავდა. ღმერთო, რა არ ვნახე? რა არ
გავიგე? მტრებიც და მოყვარებიც სულ სხვა თვა-
ლით დავინახე. ავიც და კარგიც მხოლოდ ახლა გა-
ვარჩიე. იმათ ამბავს, ერთხელაც იქნება, მოგახსენ-
ებთ... მაგრამ ახლა კი ყველას შენდობა მოვსთხო-
ვე და გამოვფთხოვე ქვეყანას. მეორმოცე დილას
მომიკთხა სულთამხუთავმა, შემეგლო ფრთაზე და გა-
მაქანა საიქიოსკენ.

არ მომკვდარა.

(მიზაძე აკაკისა)

ქართველ ხალხის სიამაყე
არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს,
მას სხეული დაეჭანცა,
მისი სული ისევ ბრწყინავს.

დიდებული აზრი, მცნება
არასოდეს არ მოკვდება:
მას ღროვებით მხოლოდ სძინავს,
მაგრამ ისევ წამოდგება.

მა — ნი

ჩაჰქრა სანთელი...

აკაკის ხსოვნას

დადნა, დაიწვა, ჩაჰქრა სანთელი,
ტანჯულთა გულის მანათობელი;
ჩაჰქრა სანთელი, მაგრამ თვის აღით
აღანთო გრძნობა ჩაგრულთ ტრფიალით!..
დასახა მცნება: ხორცი—სანთლათა
და სული კიდევ მის პატრუქათა;
თვით მარად ენთო, სინათლეს ჰფენდა
და სხვათა გულში სხივსა აჩენდა;
დაიწო იგი... სხვა კი აღანთო,
უთხრა: ანათეთ, ვიდრემდის ხართო...
და თუმც ისინი ჯერ ოდნავ ბეუტვეენ—
თვალს ხან ახელენ და ხან კი ხუტვენ;
მაგრამ თანდათან უფრო ენთება
და მის ნათელი გარს ეფინება...
და შენი ხსოვნაც, მამათმთავარო,
შვილის-შვილათათვისც ხვალად იქნება!..
ნეტარ არს შენი სახელი, სიტყვა,
აზრი და ნიჭი, შემოქმედება;
მაგრამ ის ყველა, რასაც განვიციდი,
ორს სიტყვით როგორ გამოითქმება
და ისიც მაშინ, როდესაც თვალზე
კრემლი ვერ დგება, ლაწვზე ინთქება!..
მის. ნინოწმინდელი.

ამონაპვნესი.

ეჰ, სამშობლოვ, წამებულა!
ვინ დაჰკარგე, იცი განა?
ის—რომელიც შენ გეტრფოდა
ყოველთვის და ყოველგანა.

ის, რომელიც განუყრელად
გვერდში იდგა მშრომელთანა,
შეაყვარა—მუშაობა,
სახლი, კარი, ბაღია, ყანა.

უსწავლელი მუშა ხალხი
გონებაზე მოიყვანა
შეაჩვია წიგნის კითხვა,
დაასწავლა ანა-ბანა.

ტკბილის ენით დაგვიწერა
ზღაპრები და გამოცანა,
სახალისო საკითხავი
არ გვინახავს იმისთანა.

ჩაგვინერგა მტკიცე აზრი:
სიყვარული მშობელთანა,
სიამაყე, მტერთან ბრძოლა
და სიუხვე სტუმართანა.

ამ ბოლო დროს განიცადა
ცუდი დრო და ცუდი ხანა,
დაიქანცა, — ხალხის კვნესა
მეტი ველარ აიტანა.

ოჰ, სიკვდილო, უღმობელო!
ვინ მოგეტაცე, იცი განა?
ეს—მგოსანი აკაკია,
მისთვის სტირის მთლად ქვეყანა.

გურიანთელი.

მისალმება.

მეგობრებო! კმარა ძილი,
გამოვფხიზლდეთ ძველებურად;
დარაჯი ვართ გამოცდილი,
დაეტრიალდეთ ჩვენებურად.
ქალაქებს და დაბა-სოფლებს
რევიზია გაუკეთოთ,
ვინც არ ინდობს ქვრივს და ობლებს
ანგელოზი დაუფეთოთ.


ჩვენ მათრახი მისთვის გვინდა—
ბრიყვის ზურგი ავაცხუნოთ,
ვინც არ არის გულით წმინდა—
ვაცეკვოთ და ავანტუნოთ.

მეტჩიარა, გაიძვერა
მულამ ვსდევნოთ, გავამწაროთ,

ვისაც მოსწონს ჩვენი მღერა—
ვაცინოთ და გავახაროთ.

რომ პირ-ნათლად ვიმსახუროთ—
ბევრი გვიცდის სამათრახოთ:
ზოგი ეხლა შეეახუროთ,
ზოგიც კიდევ შევიწინათ.
გადაგვიტყდეს ხელში ტარი—
თუ მოყვარეს მოვერიდოთ,
ჩვენი თავი ნახოთ მკვდარი —
მტერს თუ არ გამოვეკიდოთ.

მათრახოსანი.



პითხვა-პასუხი.

-- მარქვი: რაი არს მათრახი?
-- მათრახი არს ჯოხი, რომლისა წვეროსა ზე-
და მიმაგრებულ არს თასმა და თასმისა ბოლოსა
ტკბილ ხმოვანებისათვის დასძენენ ნაჭერსა ღვედი-
სასა.

— რა ნივთია მათრახი?
— მათრახი არც საჭმელია და არც სასმელი,
არცა სასწავლო ნივთია და არცა სათამაშო, არცა
დგამი (მებელი) და არცა ჭურჭელი, ხოლო წყა-
ლობითა მისითა შესაძლებელ არს მოიპოვო ვითარ-
ცა საჭმელი, ვერცა სასმელი, მეოხებითა მისითა
შეიძლება მცონარე ანუ ზარმაცი მოსწავლე სწავლა-
სა შინა განიბრძოს, მათრახითვე შეიძლება როკვი-
დეს ანუ ცეკვიდეს დგამასა ზედა მწოლარე გინა
მჯდომარე, მხოლოდ ესე ვითარი დამოკიდებულ არს
მათრახის ღონიერ-გონიერ ხმარებასა ზედა და ვინცა
შეიგნოს მათრახის სრულ სახიერება და არა უგუ-
ლებელს ჰყოს ხმარებაი მისი, შეიძინოს მოყვანნი
და მსახურნი ფრიად, რამეთუ წერილ არს: „შიში
შეიქმს სიყვარულსა“, ხოლო მათრახსა ესე ვითარი
ძალუძს და ამიტომაც დავალებულ აქვთ ყოველთა
მოწესრიგეთა და ხარკის ამკრებთა იხმარონ იგი
და ზურგსა ზედა ტყლაშუნით ჩააქრონ ამბოხებაი
და შფოთი და გამოიწვიონ ქანქარისა ერთი ჯიბი-
დან მეორეში გადაქანქარება და...

— დააცხრე ენაი შენი და კარი ძნელი ბაგე-
თა შენთა, რამეთუ არა არს მეტი საჭირო და ვცან
მე განსწავლაი შენი.—ახლა მარქვი მე, უკეთუ უწყი,
რათ უწოდა მიმრქმელმან ღეთის მოყვარემან თეო-
ფილემ ესე ვითარი სახელი ამა გაზეთსა?

— აღვილ არს პასუხება მაგისი: პირველათ
იმიტომ, რომ იცის გემო იმისი და კვლავაცა მოე-
ლის, მეორეთ მათრახი ესე ეცდება ვიზიტ საყოფე-
ლად და განმტკიცებათ თვისისა ძალისა ზურგსა
ზედა ყოველსა დაეცხუნოს დამსახურებისა მეგრ
მისისა და არავინ იქნას შენდობილ და უფრო
მწვავეთ ეწყვიტინოს მათრახი იმასაც კი, ვინცა ეც-
დების ცნობით ან უმეცრებით, მტრობით ანუ შუ-
რით და მათრახს შეახვედრებს არა სამათრახოსა და
გითხრა შაირი ესე თემურაზული:

სალამი შენი მათრახო,
თუ არავისა დახატრო
მართალსა „გადაეფართხო“,
მტყუანი გაამათრახო!

მათე.

სახელდახელო.

გერმანიას ვეომებით—სიმშლით სული ამოგ-
ხდებაო, პურს არ მოგცემთ და რალა ჯაპრა-დოზა-
ნით იომებო. დაგრჩება ოხრათ ტყვია-წამალი, პუ-
ლემიოტები, ზარბაზნები, ჰაეროპლანები და ღირი-
ებალებიო.

მადლობა ღმერთს, პურიც ბევრი გვაქვს, კარ-
ტოფილიც, სიმინდიც, ქერიც, ფეტვიც. ჩვენისთა-
ნა მდიდარი და ბედნიერი განა სადმე არის ერი?!

ისე გაუხდით საქმეს გერმანიას, რომ კუდით
ქვა ვასროლინოთ... ოსმლო? ის უბედური ხომ
ჩვენი სიმინდით იკვებება, და სიმინდს რომ აღარ
მივცემთ, რალა ეშველება საბრალოს! მშვიერი კა-
ცის ბრძოლა და ომი გამოიგონია?..

ასე ვემუქრებით ყველას და დახე ჩვენ ბეჩაო-
ბას! ჩვენ თვითონ არ მოგვაკლდა პური ტფი-
ლისში?..

რუსეთი — უშველებელი, უზარმაზარი ბედელია
პურისა. კავკასია უმდიდრესი ქვეყანაა მთელ რუ-
სეთში. ძვირფასი თვალთაო, ამბობენ, მეფის გვირ-
გინისა. პროფესორი ლოკუჩაივი ამტკიცებს: კავ-
კასია იმდენად მდიდარი ქვეყანაა, რომ მთელ რუ-
სეთს შეინახავსო.

კარგი და პატიოსანი, მაგრამ დიდ სიმდიდრეს
დიდი უნარი და ცოდნა უნდა მოხმარებისა და შე-
ნახვისა. სიმდიდრეს მოვლა უნდა. ქვეყანა საესე

ქურდ-ბაცაცებითა და მძარცველებით. ისე გამოგაც-
ლიან პირიდან ლუკმა პურს, რომ მაშინ მიხვდები
— წამართვესო, კუჭი რომ ტირილს დაიწყებს.

სწორედ ამ ქურდ-ბაცაცების და გაიძვერა ვაქ-
რების ბრალია, რომ ქალაქში ლუკმა-პურის შოვნა
გაჭირდა.

დილით, შუადღისას, საღამოთი ფურნებსა და
თორნებს იმდენი ხალხი ეხვეოდა, რომ ფურნე
გერმანელების მიერ ალყა შემორტყმულ ბრიუსელს
წარმოადგენდა და თორნე—ანტევერპენს.

თურმე, ნუ იტყვი, ვაქრებს ფქვილი რკინის
გზის სადგურზე ელაგათ და არა ჰყიდნენ. რა გვეჩ-
ქარებაო, ფიქრობდნენ ვაქრები. ფუთი შვიდ აბაზადა
მაქვს ნაყიდი. აბა ჩოთქი ჩავგადო, რას ვიგებ ფუთ-
ზე? მოტანა, შენახვა, ფულის სარგებელი, ქრთამი,
ფლსტანი... ფუთი როგორ უნდა გავყიდე? მაზან-
და რამდენია? ცხრა აბაზი? ვა! მანათზე ორი აბაზი
მომივა რა ჰკუაა? ქვეყანა ინგრევა, ვაენობაა. იქ—
ლემენცია, აქეთ თათარია, იქით სპარსელია. იქ
ინგლისელი ჩხუბობს. ფრანცუზი ლემენცს ეომება.
მე ხომ აფიცარი არა ვარ. პენციას ვინ მამცემს?
ჩემი ღროც ეხლა არის. მოდი, ასე ემეს ვიქ... ის
ჩემი ფქვილი სადგურში ეწყოს, პურს არა მთხოვს
და წყალს. ხალხს რომ მოშივა, პურიც გაძვირდება,
მა რა ჯანდაბა იქნება ერთიც ვნახოთ და ბედმა
მიყვილოს და გზა შეიკრას. აბა მაშინ იქნება ჩემი
ბენეფისი... ვთქვათ, ფუთი ფქვილი ერთი თუმანი
გახდა! აბა ვიანგარიშო, რამდენს მოვიგებ! გავკეთ-
დი კაცი რაღა!.. მერე თუ უნდა ლემენცმა გაი-
მარჯვოს, თუ გინდა ფრანცუზმა, მე რა მენაღლე-
ბა? წვრილ-შვილი კაცი ვარ. თათარი რომ კიდევ
არდაგანში მოვიდეს და მითხრან — თავს უშველეო,
რითი უნდა ვუშველო? რაც მეტი ფული მექნება,
ის არა სკობია? გაიტენე ჯიბე ფულითა, და გინდა
თათარი მოვიდეს, გინდა ყიზილბაში. გინდა მაშინით
წაბძანდი მოსკოვში, გინდა ავტომობილით. ამბობენ,
მოსკოვში ეხლა უშიშარია ვერც ლემენცი და ვერც
თათარი მოსკოვში ვერ მივაო.

ამ ვაქრების გამო კინაღამ სიმშლით სული
ამოგვხდა.

ქალაქმა თავი გამოიღო. ავლაგმოთ ვაქრებო.
მოდი და ჩვენ თითონ ვიყიდოთ ფქვილი და მეპუ-
რებს დაურიგოთო. მერე ფული? ქალაქის კასაში
თავგები ბუქნას უელიან. ვა! ბანკები რა ჯანდაბათ
გვინდა? სთხოვა ქალაქის გამგეობამ მთავრობას—
ორმოცი ვაგონი მოგვეცით—ფქვილი უნდა მოვი-
ტანოთო. მთავრობამ უბოძა 40 ვაგონი. ქალაქის
გამგეობამ როსტოვის მეწისქვილეს შეუთვალა—
არიქა, მალე ფქვილი გამომიგზავნეო, ფული ნალ-

ღია— „კუპეწკი“ ბანკი მოგცემს— ფულის მეტი რა
აქვს!

გამოგზავნეს ორმოცი ვაგონი ფქვილი. ქალაქამდე
ერთმა ვაგონმა მოაწია. ნახეს—ფქვილი კი არა,
ქატოა. ნახეს მეორე ვაგონი — ღუხები, ოდეკალო-
ნი, ხავერდი, ღუმელები, სარკეები, ღილები, სულ
„მოდნი“ საქონელი.

ფქვილი რაღა იქნა? გზაში ჩარჩა, ვინ იცის
რომელ სადგურზეა?..


ეს კიდევ ახალი ოინია ვაქრებისა. მა რა ეგო-
ნა ქალაქის გამგეობას? „კუპეწკი“ ბანკში ვაქრები
ბძანდებიან, ქალაქის საბჭოში იგივე ვაქრები ბძანდე-
ბიან, ბირჟევი კომიტეტში იგივე ვაქრებია. ყველას
კული კულზე აქვს გადაშული.

მერე როგორ მოხდა, რომ ფქვილი გზაში დარ-
ჩა და ქალაქში ქალაქის ვაგონებით პულრი და სა-
პონი მოვიდა?

ეჰ, თქვე დალოცვილო... ქრთამი ჯოჯოხეთს
ანათებსო, ნათქვამია, და იგივე ქრთამი, თქვენგან
არ მიკვირს, ფქვილს პულრად ვერ გადააქევედა?

სად არის კარგი პატრონი? აილოს ხელში მათ-
რახი და ერთი თუ ორი ამ ოინაზებს..

ეშმაკის ფეხი.



ახალ წელს

ძველმა წელმა სისხლით მორწყო
თვალ-უწვდენი მინდორ-ველი,
ახალ ქვეყნის წმესამუსრად
ხელში იპყრა შავი ცელი.

სისხლის ზვირთში, ცრემლის ზღვაში
ააცურა—კაცთ სამყარო,
განთიადის სხივი ჩაჰკლა
და მოსწყვიტა შვების წყარო.

კვლავ დათალხა მან ქვეყანა,
შემოარტყა ნისლის რკალი,
კაცთ სამეფოს გაღვიძებულს
დაატეხა ქარ-გრიგალი!

მოსპო სვეტი სინათლისა
ხალხის გულში ამართული,
ბოროტება გაამეფა
და დასთრგუნა სიყვარული.


დედას შვილი გამოსტაცა,
მოძმეს მისი მეგობარი,
სატრფოს გული ამოჰგლიჯა
დააყენა სისხლის ღვარი.

შავი ფიქრი ახრჩობს არეს,
არსაით ხსნა, არსით შველა,
შენ შეგნატრის, ვით ახალ სხივს
დიდი მცირე, ერთხმათ ყველა

მოგვევლინე, გაკაშკაშიდი,
ობოლ სატრფოს მოეხმარე,
გამოიხსენ ტყვეობიდან
გაამხნევე, გაახარე.

უკუ აგდე ძველი წელი
შეარყიე უკუნეთი,
მოსპე შური, სისხლი, ცრემლი
დაამსხვრიე ჯოჯოხეთი.

გოგია.



ა ვ ა ნ ს ი

„შე კი მაინც სულ ვაგანი,
არ ფსტირა“.

ას შემთხვევაში ოთხმოცდა ცხრამეტჯერ და-
მერწმუნეთ, რომ ავანსი კარგი და სასარგებლოა.
აი, თუ გინდ წარმოიდგინეთ, სამსახურში ხართ,
ხაზინიდან ყოველ თვიურად (ესე იგი ყოველი თვის
2)-ში) კაი გემრიელი ულუფა გეძლევა, უფროსი
ან შენ გწყალობს ან შენს „სჯულიერ მეუღლეს“
(იმ მეუღლეს, რომელიც შენს საბუღალროში კაპანებს
და სხვისაში კვერცხსა სდებს). და ავანსით სამი
თვის ჯამაგირი გამოგიწერა. კარგია და კარგი! შე-
იძლება ამ ფულით შენი მეუღლე აგარაკში წავიდეს
— გული გადააყოლოს, გაერთოს და მისი მოშორე-
ბით დროებით თავიდან აიცილინო მისი ბუზღუნე და
შენც იცხოვრო როგორც რუსები იტყვიან „უცო-
ლო მდგომარეობაში“. ვისაც ცოლი ყავს და ეს

დროებით უცოლობის ტკბილი უკი არ განუცდია,
ურჩევ განიცადოს და დასტკბეს.

აიღეთ ავანსით სარგებლობა მეორე მდგომარეობაში. წარმოიდგინე: უცოლო, შეღერებული ვა-
ჟი ხარ, საცოლოც აირჩიე, თვალი თვალში გაუ-
ყარე, შეიყვარე შეგიყვარა, გირჩევ ავანსით, ესე
იგი მის გასჯულიერ მეუღლეამდი, აკოცო, უჩქმი-
ტო და თუგინდ გადაამლაშე და ავანსათ ერთი „კუ-
რიერიც“ შესძინე, — ეგეც კარგია. მერწმუნე, ჯვრის
წერამდის საცოლოს ხვევნა-კოცნა მტლაშა-მტლუში
აკრძალული ხილია და მაშასადამე იშვიათი ტკბი-
ლიც არის...

აი კიდევ მესამე შემთხვევა: წარმოიდგინე ქარ-
თული ანა-ბანა იცი, მაშასადამე თამამათ შეგიძლია
წერო ლექსები, დრამები, მოთხრობები და სხვა.
ერთი სიტყვით შეიქნე დიდებული მგოსანი, დრა-
მატურგი, ბელეტრისტი. მართალია, ჯერ დაბეჭდი-
ლი არც ლექსი გაქვს, არც დრამა და არც მოთხ-
რობა, მაგრამ რაკი დასაბეჭდოთ გაგზავნე, იმ დღი-
დანვე კი არა, უბრაო აღრეც შეგიძლია ავანსათ წარ-
მოიდგინო შენი თავი დიდებულ მოღვაწეთ, მემ-
კვიდრეთ აკაკის, შექსპირის, ვიქტორ ჰიუგოს და
სხვა. ვინ გიშლის ავანსათ განდიდების ჯოჯოხე შე-
ჯდე და იდონკიხოტო.

აი კიდევ, მართალია, ლატარეის მომგებიანი
ბილეთი არა გაქვს შეძენილი, მაგრამ ვინ გიშლის
და ან ამისთვის ვინ დაგსჯის, რომ მიეცე ტკბილ
ოცნებას, ავანსათ წარმოიდგინო, რომ მოიგე 200
ათასი მანეთი და არა ერთი კაპეიკით ნაკლები. რა
ციხე-დარბაზებს ააშენებ, რამდენ რა კეთილ საქმეს
დაიწყებ, რამდენ ქვრივ-ობლებს შეუშრობ თვალე-
ზე გაჭირვების ცრემლებს... აი, ასე კარგია ოთხმოც-
და ცხრამეტჯერ ავანსი, დიახაც რომ ის არის სიამ-
ტკბილობის მომნიჭებელი...

მაგრამ არ მესმის ავანსათ ტირილი, გლოვა,
ვიში, ვაი-უი! ნუ სტირი მოსიყვარულე დედავ ავან-
სათ შენს საყვარელ შვილს. მართალია, ის განსაც-
დელშია, ბრძოლის ველზეა, ან სარეცელზე წევს
ფილტვების ანთებით ავით, მაგრამ მაინც ნუ სტირი,
ნუ ისივებ თვალებს, ნუ იწყალებ გულს, ტირილ-
სა და გლოვას ვინ მოგიშლის მერმე, როცა შენს
მტერსა და ავს, შენს მოძულესა და ავის მდომელს
(აბა, შენ ჯვარი გწერია!) შვილი მოუკვდება, იტირე
მერე და ნუ ტირი წინ და წინ, ნუ ტირი ავანსათ!

ნურც თქვენ ტირით ავანსათ „მამულის შვი-
 ლემო და ეროვნების ბურჯებო“. მართალია, თქვენს
 კვარცხლბეკს, თქვენს საბრძანებელს დიდი „ერო-
 ვნული საფრთხე“ მოელის, ირავმება მანეთიან წვე-
 რების ლაშქარი და ლამის იერიშით აღგავოს სამ-
 მანეთიანთა ბანაკი, აიღოს მათი ციხე-სიმაგრე, წა-
 ბილწოს ენა, წარყენას და გაანელოს ეროვნული
 თვით შემეცნება, მაგრამ მაინც ნუ ტირით ავანსათ
 და ნურც ილანძღვით ავანსით, ჯერ ხომ გული
 საგულესა გაქვთ, მაშ რა გატირ-გაწრუწუნებთ!

„მე მაინც სულ ვიციანი, არ ვსტირი!“.

ავანსით ვიცი, რომ თქვენ ეს გაგიკვირდებათ,
 რომ მე დღესაც სილილის გუნებაზე ვარ, რადგან
 დღეს „ეროვნული გლოვა“ გამოცხადებული, რად-
 გან აღარ გვყავს **პაპაქი**, მაგრამ მე მას არ ვიგლოვ
 მე მას არ ვსტირი. აკაკი სიცილის მეფე იყო, მისი
 სიკოცხლე ცრემლ-ნალღელში ნალესი სიცილი იყო.
 მის პირველ გამოსვლასაც „იარანალენები“ ავანსით
 მტრულათ შეხვდნენ „აკაკიებო ბაკაკიებო, რიონე-
 ბო გოგოტელებო, საიდან ჩხავითო!“ შესძახეს, მა-
 გრამ ის უჯჯოხო გენერლებს მედგრათ შეხვდა და
 შესძახა:

„იარალო ხარა-ბუზა,
 სიტყით სწორო, საქმით კუზა,
 გაგფრენა შგნი მუზა
 ბზუ, ბზუ, ბუზა-ბუზა!“-ო.

და აი აკაკიმ მთელ სიკოცხლეს ემსახურა ჩვენს
 ქვეყანას საქმით, მისი მუზა არასდროს არ დახურ-
 დავებულა—ის ყველას დასცინოდა, ყველას შესა-
 ფერი იუმორით უმასპინძლდებოდა და აი დიდებუ-
 ლი მოხუცი დიდებულ ვალ-მოხდილი მოკვდა, მა-
 გრამ რაკი მისი მუზა არ იყო კუზა და რაკი აკაკი
 სახალხო საკუთრებათ გადაიქცა და რაკი ეს ხალხი
 მას აფასებს, ამიტომაც მე მას არ ვტირი პირიქით
 მიხარია და ვიციანი. ვიციანი საღის სიცილით...მი-
 ხარია, რომ აკაკიმ იცოცხლა ხალხისთვის და მას
 ეს ხალხი აფასებს და ვინც აკაკისაებრ სამშობლოს
 წინაშე ვალს მოიხდის, იმდენს იცოცხლებს და
 იცოცხლებს ნაყოფიერად, მე მას არ ვიგლოვებ.

„მე არ ვსტირი იმ ორ შვილსა
 ომში მოკლულს გმირულადო,
 ვიგლოვ ცოცხლად დარჩენილსა
 უსახელოთ... ვირულადო!“

მაშ მეც შემინდეთ თუ **გმირთა გმირს აკაკის**
 არ ვიგლოვ. ის რომ არ ვიგლოვო, განა ცოტა მყავს
 საგლოვი უსახელო

პიტანა.

კონსტანს ჩივილი

ვანკითხვის დღე დადგაო, რომ იტყვიან, სწო-
 რეთ იგია, ისეთ ეისვარა ყორისფელი ხუცესი რომ
 ამბობდა ანტექრისტე მოვაო, ნამდვილათ მოდის,
 არ უნდა ამას ლაპარაკი. ბარემდაც თუ მოსაფალია,
 მევიდეს და ის იქნება. მეტი რალა დაგვემართება!
 ოღონდა სული გვიდგია კისერში, თვარა ჩვენი
 ცხოვრება გროშათ არ ღირს, არ გამიწყრეს ღმერ-
 თი. ამ გაქირვების დროს ღმერთმაც ქე მოგვიძულა.
 სიმინდი ჩვენთვის არაა და სარჩო-საბადებელი.

მუშა ხელი თუ იყო სადმე, ყველა ვაინშია და
 მათი დაბრუნება ღმერთმა იცის. ქერივითა და ობლე-
 ბით ეივსო ქვეყნიერება და მარჩენალი არსადაა.
 უბედურ კაცს ქვა ზღმართში მოეწიაო, რომ იტყვიან,
 სწორეთ ისთეა. ვაინა და უბედურებაც ჩვენ გვარ-
 გუნა ღმერთმა და მოუსავლობაც. ოჯახიშვილი რომ
 წლის სარჩო საბადებლათ ორ ძარს სიმინდს ძლივს
 მიეწევს, იგი ოჯახიშვილი კი არა, დაფსებული და
 გადაშენებული გლახია. ორ ძარ სიმინდს სხუმის
 ღორებს ვაძლევდი სასუქათ შობა-ახალწლიზა, ახლა
 კი მე თვითან ერთი კეკალიც სანატრული მაქვს.
 მუშაობა არსადაა რომ პატარა ხელი მეითბოს კაც-
 მა, სიმშილს გოდურჩეს, მტერს გაუძღვეს და მოყვა-
 რეს.

ამისთანა სიკოცხლევც შეარცხვინა ღმერთმა!
 ორი კაპეიკი კაცს არ გქონდეს, რომ პრანჩიკებზედ
 ბაღნებს ფოჩიანი კამფეტი უყიდო, აგი სიკო-
 ცხლეა?!.. სიკოცხლე კი არა, გაძალღებაა, მამა
 ნუ წამიწყულებ! ამ ჩვენმა ვაჭრებმაც ხომ გეიწყვი-
 ტეს ნამუსის ძარღვი. მართალია, არც სხუმის წი-
 თლდებოდნენ სირცხვილით, მარა ახლა თელათ გე-
 დირიენ. ყორისფელზედ „ღვინოის“ გვახდევინებენ.
 დროი იპოვეს და ამოგვადრენ სული, შეგვბრენ და
 შეგვკამენ, კისრიდან დაწყებული კაკალ კუდის რი-
 კამდე გადაგვაშვლიბეს ტყავი! დავრჩით ტყავამძვრა-
 ლი და გაპარტახებული ღვთის ამარა და არ ვიცი,
 რავე იქნება ჩვენი პრატაკალი!

ამ ღმერთ გამწყრალ თათარსაც ახლა გაახსენ-
 და ძველი ინტერესი და მოჩოჩავს ისაია ხუცესის
 ჯორივით. თუ ახლა კიდო მაგან ვალლა-ბილა გვა-
 ძახა და ბაიათის სიმღერა დაგვაწყებია, აშენდება
 ჩვენი კერია. კაცს ჯერეთ რიგიანათ წალმა წერა
 ვერ მომიხერხებია და თუ ახლა უკულმა დამაწყებინ,
 უკულმა იაროს იგენის გვარმა, რალაა მერე ჩემი სი-
 ცოცხლე.

დელა, რა დღეს მევესწარით! ნუთუელი ახლა
 ჩვენ ქალბესაც აფარებენ წინ?! უი, დასწყევლოს

ღმერთმა მათი სახსენებელი. სახე დაფარული ქალი, შეკაცო, ცირკის მასხარა კი არაა. ის არ ჯობია, რომ გაპუტკუნებულ ბარიშნას თვალს გადაუბაჭუნებ და ბრეწოლივით ლოყაზე ხელს მოუცაცუნებ! თუ ვერაფერს გამოჩეხი, ქემინც თვალს წყალს დააღვეიებ და გულის ქიას გაახარებ. მარა თათარს ვინ მისცა შნო და ლაზათი.

თუ თელათ მოგვიძულა იესო მაცხოვარმა და არ ჩავვარდით მაგ მაშადების ხელში, იცოცხლოს კოსტაიამ, მე გაის კოხინჯრობას კამპანია ვაგმარო და სულ „ურა“ ვიძახო. საულლე ხარს ვავეიდი და ამ კამპანიას კი ვიზამ, თუ მშვიდობით გადავვარჩინა ღმერთმა.

ჩემი ცოდვა მიეცა იმ ლემენცებს, რომ მაგენს წელი გაუმაგრა და ვაინა დააწყებია, თვარა ჩვენ სათუოდ და საშიშრად გვექნებოდა საქმე?!

ძალიან მაღაზედ კი მევიდა ამ ბოლო დროს ეს თანთარი! უყურეთ რაღა ძველ ვექსილებს დოუწყო ძებნა! მიენდომა ყმაწვილმა: ბათუმი, ყარსი, არდაგანი!

თუ გავკიმეთ განდაგანი და ფიჟებ-ქაქების აპელაცია გოუკეთეთ ხომ კაი, თუ არა და კინჩის და კისერის ტეხა მას და ანასუნის და აბრანინი ჩემს საქმეს.

გოგია.

გურული სცენა

წერილი ბრძოლის ველიდან.

კარგი ხანია გაზეთებში სწერდენ, რომ როიკხა და საცხა ევროპიული და მთელი ქვეყნიური ჩხუბი იქნებაო, მარა მე თუ მომესწრობოდა, აგი რაღა მეგონა!

ერთი ცნახოთ, შეიქნა ასვარიე-სასვარიე, გამოცხადდა ჩხუბი, დეიქექა პირველმა ზარბაზანმა ეკენისთვის ქუხილსავით თუ არა გამოგვაწყვეს ნაცრის ფერათ, მოგვკიდეს ზურგზე ჩვენი ბარგი-ბარხანა და ამოგვაყოფიეს თავი გერმანის საზღვარზე.

მივედი, ვიმიზირები აქეთ-იქით შოროზიას ჯოგის ხარსავით, მარა არც ლემენცი ჩანა და არც მისი ლანდი.

მოვიდა კამანდერი, გამოგვინცხადა ჩვენი ძმანები კაი ხანია რაც სისხლს ღერიან სამშობლოს-თვინო, ჩვენც გვინდა ყოჩაღობაო, დღეს თუ ხვალ ჩვენც შევეტყეებით მტერსო, აბა თქვენ იცით, როგორ მასახლებთო და მაგიერი მე მკითხებ—გაგეტყვად გულ-მკერდს ჯვრებით და მენდლებითო.

ჩვენც რასაკვირველია—პასტარამსია ვაშე სოკო-როდიეო—მივაძახეთ.

შემდეგ გვითხრა—ეხლა იძინეთ მოსვენებით, მტერი შორს არისო... დედავ, ძილის გამეტი თუ არაფერი გვინდი, ძილი ჩემი საქმეა მეთქი, შევეძვირი ფაცხაში, წვეიხვიე ჩემი შინელი თავზე და ამოუშვი პირდაღებულ თავადივით ხვრინვა. თურმე რა გახვრინებს, აგერ ნახავ შენ სერს, მეიცა პაწეი.

წამოგვყარეს ძაღლის იალონზე—აგი დოზო-რიო, აგი პატრულიო, აგი ყარაულიო. ამან იქით წვიდესო, იმან აქეთ წამოვიდესო. ამ დავიდარაბაში რომ ვართ—შეინძრა მიწა, შეიქნა ქექა-ქუხილი, გამოუშვა და გამოუშვა შემოდგომის წვიმასავით ტყვია, მარა რა გამოუშვა!..

— ჰეი მაგას ბიჭო, უშველეთ, მოვიდა ლემენციო—იყვირა კამანდერმა, — ვსწვევრტეთ კურ-დღელსავით, — ამუაყედით ზოგმა ქვას, ზოგმა ხეს, ვსროლილობთ აქეთ-იქით, იქით-აქეთ, აღმა-დაღმა, უთვალოდ, უთავოდ, აბა სად ასწევ თავს? ფშვიტი-ნობს ტყვია, ზუნზულობს ყუმბარა. სიდან გაჩნდა, სიდან მოქროლდა! ამინუჩი ჩიოდენ—ას ვერსზეაო, ახლა სიდან ამოძვრენ, მარა უყურე ლემენცებს, დასურ ლემენცები! გულუწყვიენ ავტომობილზე ზარბაზნები და პულიმიოტები და რა აქ ზორი, ამინუჩი თუ უნდა ას ვერსზე გადააქროლ-გადმოაქროლებენ. ავტომობილი საყდომით ღმერთმა დეიცვას და ნახვით, ვერ მოგატყუებ, ერთის გამეტი არც კი მი-ნახავს, იგიც ბათომში კომენდატი იჯდა დევიანხე, კომენდატს და ნამესნიკს გარდა თუ ჩეიჯდომელებოდა შით, არც კი მეგონა და უყურე—ვინცხამ ამ ნემცებს ზარბაზნების სათრევედ გაუკეთებინ.

ხო და იმას მოგახსენებდით—ესროლილობთ წაღმა-უკულმა მეთქი, რომ ამ დროს გეობრძანა კამანდერმა—„პერიოლო“. რა გზაი გაქ, რომ არ წახვალ, ავდექი ვავსწეი წინ, მიხვალ, მარა სად მიხვალ—მუა ხოშკაკალსავით, ჩხოის კაკალსავით პულიმიეტის ტყვია, ზარბაზნის ყუმბარა. რომ მოგხთეს, მე შენ გეტყვი, არ წავაძრობს თავის ხაპს, არ ვაგიტეხს იხტიბარს, არ წავიხთენს ვანშმის მა-დას, არ დაგატეხებებს გურიას, არ დაგაკრეკიებს ავუნაის ლორის თავსავით კბილებს თუ რა გონია... მარა რას იზამ, დედაბერსავით ტირილს ხომ ვერ დევიწყებთ, ხომ არ მოგვჯაყავთ გურიას—სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა და ჩვენც თუ დავრჩით ცოცხალი—სხელოვანათ გვინდა და თუ მოგვედებით ჩხუბში კი არა, კერიეს ძირში კვდებო კაცი, ვითამ რაღა, თუ განწირული ვარ და იმოდენ სერესკელში მე მომკლავს და ანასინი ჩემს საქმეს.

პ. ქლენტი.

წითელი ბრიგადა.

მზე მთის წვერით პირ-მცინარი ველზე ოქროს ქათიბს ქსოვდა,
ნაკადული კისკისითა კორდით კორდზე გადახტოდა.
თეთრ ბილილას სიყვარულით და აღერსით პირსა ჰბანდა;
ტყე სამოთ შრიალებდა, საიდუმლო ზღაპრებს სთხზავდა.
ბულბული ვარდს უგალობდა, მისთვის ახალ ჰანგებს ჰქმნიდა;
გვირილა კი მზის სხივებით ოქროს ქოჩორს ივარცხნიდა.
სიო ტკბილათ სისინებდა, მხურვალე გულს შევებს ჰგვირა
და ბოსტანში მზის-უმზირა ინაზოდა, თავსა ხრიდა.
ჰორიზონტზე ბროლის სარკე ციალებდა, ნელ-ნელ კრთოდა
და სიცოცხლის ანგელოზი უკვდავების ჩარხსა ქსოვდა.

უცებ ელეა გაიკლანა, ცას გააკრა ცეცხლის ზოლი;
მთის ნაპრალით ამოვარდა ჯოჯოხეთის შავი ბოლი.
ცა შეირყა. — მშვიდ მიდამოს ქარიშხალმა დაუბერა
და სიკვდილმა თვის ცელს პირი აულესა, დაუფერა.
ტყე-ველს ცეცხლი მოეკიდა, მთით გადმოსქდა ნიაღვარი
და გაისმა ქვეყნად გმინვა, კენესა გულის შესაზარი.
დასქნა ვარდი, ბულბულს გული დაუღარა სევდის ქიამ
და შეჰბოჰა ქვეყნიური არსებობა ომმა, ტყვიამ.
და ინგრევა ყველაფერი აგებულია რაც ძველათა;
იხოცება, სწყდება ხალხი და ვინ იცის, — რისთვის, რათა?..

ჰორიზონტი აღარ ღელავს, შეიღება სისხლის ორთქლით
და სიცოცხლის ანგელოზი ლოყებს იხოკს, სტირის მოთქმით.

გ. ლადოშვილი.

„მათრახის“ დეპეშები

(საკუთარ კარესპოდენტებისაგან)

ლონდონი. ნემენცების ერთი გემი მოვიწყვდიეთ ოკეანეში და დავლუბეთ. ნემენცებმა ბრძოლა ვერ გაგვიბედეს და მიიმაღლენ ბურუსში

ბერლინი. ოკეანეში ინგლისელების ერთი გემი მოვიწყვდიეთ და დავლუბეთ. ინგლისელებმა ვერ გაგვიბედეს ბრძოლა და ბურუსში მიიმაღლენ.

პარიზი. ოფიციალური ცნობა მთავარ შტაბისაგან: ერთი კვირის განმავლობაში ჩვენმა ჯარმა ათი ადლის მანძილზე წინ წაიწია. ნემენცებმა დაიხიეს. განთიადისას აპირებდნენ იერიშით მოსვლას, მაგრამ ზარბაზნები დაფუშინეთ და უკუ ვაქციეთ.

ბერლინი. ოფიციალური ცნობა: ჩვენმა ჯარმა ერთი კვირის განმავლობაში ათი ადლის მანძილზე წინ წაიწია. ფრანგებმა დაიხიეს. განთიადისას დააპირეს ჩვენზე იერიშით მოსვლა, მაგრამ ზარბაზნები დაფუშინეთ და უკუ ვაქციეთ.

პარიზი. იმპერატორი ვილჰელმი ჯავრით ავად გახდა. მისი მორჩენა საეჭვოა.

ბერლინი. საფრანგეთის მთავარ სარდალი ეოფრი სიკვდილის პირას არის. მისი მორჩენა საეჭვოა.

კიენჰაგენი. იმპერატორი ვილჰელმი და საფრანგეთის ჯარის სარდალი ძლიერ კარგათ არიან. ერთმანეთს მისალოცი დეპეშები გაუზზავენს.

ბუჰარესტი. რუმინია ნეიტრალიტეტს არ დაარღვევს. აქ ასე ამბობენ: ვიდრე ტრანსილვანიას ჩვენ არ მოგვცემენ, ომს არ დავიწყებთ. და თუ ტრანსილვანია ჩვენ მოგვცეს, მაშინ ომში ჩარევა ჩვენი რალა საჭიროაო.

სოფია. ბულგარეთი ჯერ არ აპირებს ომში ჩარევას. ბულგარელები ასე ამბობენ: ვიდრე მაკედონიას ჩვენ არ მოგვცემენ, ომში არ ჩავერევით და თუ მაკედონია ჩვენ მოგვცეს, მაშინ რალა გავასულელებს, ომში ჩარევა რალად გვინდაო.

რომი. იტალია ასე ჰტიქრობს: ავსტრი-უნგრეთს მივემზრო საფრანგეთი გაგვლახავს, საფრანგეთს მივემზრო — ავსტრი-უნგრეთი გაგვლახავს. სჯობია ჩვენ ქერქში დავრჩეთ. ვისაც მტერი მოერევა, ჩვენც დამარცხებულს დავერევით.

2 158 / 1915 / 2

ათინა. თათართან ჩხუბს ჩვეულნი ვართ. თუ დამარცხდა, ორიოდ კუნძულს კიდევ წავართმევთ.

ტაკიო. იაპონიამ გამოაცხადა: ეს ცინდაო ხომ წავართვით ვერმანის. კარგი ლუკმაა, მეტი არა მინდა რა. ეხლა იმდენი იომონ ვეროპიელებმა, სინამ მოსწყინდებათ. რა ჩვენი საქმეა!

ნიუ იორკი. მადლობა ღმერდს, ამერიკა შორს არის ბრძოლის ველიდან. იმდენი იომონ ვეროპიელებმა, ვიდრე ბოსწყინდებათ.

თავრიზი. სპარსელები ასე ამბობენ: ოსმალო მოვა, თავს დაეუკრავთ—ბალი ალა, სალა-მალექ. რუსი მოვა, თავს დაუკრავთ. ზღრასტი პოეო-ლუსტა.

ჩრდილოეთის პოლიუსი. აქ მოვიდნენ ჰაეროპლანებით: ინგლისელი, ფრანგი, ნემენცი, რუსი, ავსტრიელი და ამერიკელი. რუსმა, ნემენცმა, ფრანგმა, ინგლისელმა და ავსტრიელმა ერთმანეთი დახოცეს. ბურთი და მოედანი პოლიუსზე დარჩა ამერიკელს. შეერთებულ შტატების დროშა ააფრიალა და გამოაცხადა ჩრდილოეთის პოლიუსი ჩემიო.

მარიხი. აქ მოვიდა ჰაეროპლანით „მათრახის“ კორესპონდენტი და დედამიწაზე ატეხილ ომის ამბავი მოიტანა. მარიხის მცხოვრებნი მეტად ააღელვა ამ ამბავმა. გაოცებულნი არიან: ნუ თუ დედა-

მიწაზე ისევ ბარბაროსული ხანა დგას და აღამიანმა ომიანობას თავი არ დაანებაო. მარიხის ერთმა რესპუბლიკამ გადასწყვიტა გამოუგზავნოს დედამიწის ულტიმატუმი ორი დღის ვადა მოგვიცია, მორიგდით და ოპი მოსპეთ, თორემ ცულ დღეს დაგაყენებთ: კულიან ვარსკვლავს დაგატაკებთ და დედამიწის სახსენებელი აღარ იქნებაო.

შოველით მარიხიდგან ახალ ამბებს.

მათრახის ფოსტა

ჩოხატაურში. ს—მელი-ს. გვაცალე მომავალ კვირამდი და მაშინ:

„სათითაოთ ჩამოგიტეულით სამარცხენო რა და რა ქნეს“ და მაშინ თქვენი ს მელიო-ბაც მიხედება ვინ ყოფილა სამათრახო.

ბახვი. დობირელს. აი, ქვეყნის დაღუბვა სხვა ადგილასაც გვსმენია:

ორ ქალს ერთი გაულახავს, გალახულს ერთისათვის გადაუხდია, მაგრამ ერთის კიდევ მართებს. ასეთი ამბავი ღ ისიც ამ დროს მგონი მარტო იავორ-აფროსიანისათვის იყოს საყურადღებო და თუ რა ხდება დობიროში ან წინათ რა მომხდარა ამისი გამოკვლევა მათ აქვთ მინდობილი და მომავალ ნომერში მათი „ნაშრომის“ შედეგაც დაიბეჭდება.



- ეს რა ამბავია?
- პურსა სტაცებენ ერთმანერთს.
- ჰო მართალა, 23 იანვარს პური ძნელი საშოვარი იყო ტფილისში. ეხლა რა გვიქირს, ფქვილი ბევრი მოგვივიდა.